საქართველოს სახალხო დამცველი

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში

მონიტორინგის შედეგები

2017 წელი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება.
გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობს კოორდინაციასა და წახალისებას.
წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.
გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 5

მოქმედების სფერო I: მონაწილეობა 7

მიზანი 1: ქალთა გაზრდილი მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორში 7

მიზანი 2: იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა, ასევე ქალთა და სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაზრდილი მონაწილეობა კონფლიქტის პრევენციისა და კონფლიქტის მოგვარების პროცესში 11

მოქმედების სფერო II: პრევენცია 13

მიზანი 3: სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია 13

მოქმედების სფერო III: დაცვა 17

მიზანი 4: სოციალურ–ეკონომიკურად გაძლიერებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები, გოგონები და მათი ოჯახის წევრები 17

მოქმედების სფერო V: გაეროს N1325 რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელება და მონიტორინგი 28

მიზანი 5: გაეროს N1325 რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით პასუხისმგებლობის გაძლიერება და ზედამხედველობა 28

დასკვნა 30

რეკომენდაციები 31

დანართი 1 35

შესავალი

გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭომ 2000 წლის 31 ოქტომბერს მიიღო რეზოლუცია N1325, "ქალებზე, მშვიდობაზე და უსაფრთხოებაზე", რომელიც აღიარებს გოგონებისა და ქალების განსაკუთრებულ როლსა და საჭიროებებს კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ვითარებაში[1].

მსოფლიო პრაქტიკა ომისა და მშვიდობის ახალ მოდელში, ქალების მონაწილეობას სამი მიმართულებით აერთიანებს: ქალების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ქალების მონაწილეობა საომარი მოქმედებების პრევენციასა და თავიდან არიდებაში, ქალების მონაწილეობა მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

აღნიშნულის განსახორციელებლად, 2011 წლის 5 მაისს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცდა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი ეროვნული სამოქმედო გეგმა 2012-2015 წლებისთვის. აღსანიშნავია, რომ 2016–2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე შემუშავდა.

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგებსა და თანმდევ რეკომენდაციებს, რომელიც ყველა პასუხისმგებელ უწყებასთან, დაინტერესებულ პირთან და კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობასთან შეხვედრების გამართვის შედეგად შემუშავდა. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის შედეგები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ქალებისა და გოგონების უფლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობაზე არ ასახულა და ამ სფეროში კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები და გამოწვევები, კერძოდ:

- პრობლემურია პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებების მიერ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებული როლისა და საჭიროებების დანახვა, ხოლო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ჩატარებული ტრენინგები არასაკმარისია უწყების წარმომადგენელთა გენდერული მგრძნობელობის გასაზრდელად.
- სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგად ცალსახად იკვეთება უფრო ინტერსექციური გეგმის შემუშავების საჭიროება. კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგონებს განსხვავებული საჭიროებები აქვთ, რომელთაც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები სპეციფიკურად უნდა მიემართებოდეს.

[1] რეზოლუცია N1325 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე", ხელმისაწვდომია ონ-ლაინ: http://www.un.org/womenwatch/osagi/wps/Nresolution

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ისევე როგორც სექსუალური ძალადობის საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება კვლავ გამოწვევად რჩება და შედეგად, სახალხო დამცველის აპარატისადმი მიმართვიანობა კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხრიდან, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, დაბალია.
- არ ხორციელდება კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონებისთვის სპეციფიკური ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების შეთავაზება.
- მედიას, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩართული იყო გეგმის განხორციელების პროცესში, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების საჭიროებები არ გაუშუქებია და საანგარიშო წლის განმავლობაში სწორი რეპრეზენტაცია არ მოუხდენია. მნიშვნელოვანია, მედიაში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების გაშუქებას მეტი ყურადღება მიექცეს.
- მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა საუბრობს კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგონებზე, საანგარიშო პერიოდში შესრულებული არც-ერთი საქმიანობა არ ყოფილა მიმართული ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისა და გოგონების მიმართ.
- ბოლოს, „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ შესახებ გაეროს რეზოლუციების განსახორციელებლად აუცილებელია კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების გაძლიერება. 2016-17 წლებში სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალებისა და გოგონების საკითხების წინ წამოწევა ხშირად ინდივიდუალური ძალისხმევისა და ინიციატივების საფუძველზე ხდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ამგვარი ინიციატივების განხორციელებას. ეს არის ინვესტიცია, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ კონკრეტული პრობლემების გადაჭრის, არამედ, კონფლიქტის მოგვარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში გრძელვადიანი შედეგების მიღებისკენაც.

იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე ანგარიშის რეკომენდაციებს შემდგომი ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) შემუშავების პროცესში გაითვალისწინებენ.

მეთოდოლოგია

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის მომზადებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის წარდგენის პასუხისმგებელ უწყებად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი განისაზღვრა. მონიტორინგის მთავარი მიზანია ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების, ასევე, საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის შეფასება; მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, რეკომენდაციების

მომზადება, რომლებიც გეგმის განმახორციელებელ სტრუქტურებს ხელს შეუწყობს ხარვეზების დროულად გამოსწორებაში, დაგეგმილი მიზნების უკეთ მისაღწევად. სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის აპარატმა, ამ ფუნქციის შესასრულებლად, თითოეული სამოქმედო გეგმისთვის შეიმუშავა მონიტორინგის მეთოდოლოგია.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პირველი ეტაპი მოიცავდა ინფორმაციის გამოთხოვას რეზოლუცია N1325 ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე[2] პასუხისმგებელი უწყებებიდან. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგებზე დაყრდნობით, დაიგეგმა მონიტორინგის მეორე ეტაპი, რომელიც აღნიშნული სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრებს და ჩაღრმავებულ ინტერვიუებს ითვალისწინებდა. შედეგად, შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებთან, რომლებიც რეზოლუციის N1325 ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით მუშაობენ. შეფასდა, რამდენად გაძლიერდა და განვითარდა ტრენინგებისა და სემინარების შედეგად ის სფეროები, რომელშიც უწევდათ მათ მუშაობა და რამდენად ხედავდნენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგონებისა და ქალების განსხვავებულ საჭიროებებს. შეხვედრებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გეგმის შესრულება შეფასდა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მაჩვენებლით.

მესამე ეტაპი მოიცავდა დევნილთა კომპაქტურ დასახლებებსა და საოკუპაციო ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრებს და მათი საჭიროების ანალიზს[3]. ფოკუს ჯგუფები, ძირითადად, გეოგრაფიული განფენილობის მიხედვით შეირჩა. სხვადასხვა უწყებებიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეირჩა სოფლები, რომლებსაც მიეწოდათ სერვისები უწყებების მხრიდან, ასევე, სოფლები, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო სერვისები ხელმისაწვდომი. ამ კუთხით, ხაზი უნდა გაესვას დევნილთა დასახლებებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის განსხვავებულ საჭიროებებს. საინფორმაციო შეხვედრებმა შესაძლებლობა მოგვცა, დაგვენახა, რამდენად

---

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი; საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საზოგადოებრივი მაუწყებელი; იურიდიული დახმარების სამსახური.

[3] გორი (16.06.2017; შიდა ქართლის არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუს ჯგუფი 8 მონაწილე); ზუგდიდი (25.07.2017; სამეგრელო–ზემო სვანეთის არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუს ჯგუფი; 4 მონაწილე); წეროვანი (14.06.2017; დევნილთა დასახლება; 11 მონაწილე); ფრეზეთი (14.06.2016; დევნილთა დასახლება; 10 მონაწილე); კოდა (14.06.2017; დევნილთა დასახლება; 9 მონაწილე); კომკა (21.06.2017; დევნილთა დასახლება 10 მონაწილე); წითელუბანი (21.06.2017; დევნილთა დასახლება; 13 მონაწილე); პერევი (11.07.2017; სათემო ფონდი; 13 მონაწილე); ფოცხო ეწერი (26.07.2017; დევნილთა დასახლება; 13 მონაწილე); ჯვარი (26.07.2017; დევნილთა დასახლება; 12 მონაწილე); ანაკლია (25.07.2017; სათემო ფონდი; 4 მონაწილე); თბილისში არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის მონაცემები (01.08.2017; თბილისი; არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა; 5 მონაწილე).

არის მორგებული ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალებისა და გოგონების საჭიროებებზე, რამდენად ფლობენ ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სექსუალური, ან სხვა ნიშნით ჩადენილი ძალადობა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები; ომის ნარჩენები; გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა; უკანონო დაკავების საფრთხეები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგი 2017 წლის ზაფხულში ჩატარდა, ამიტომაც, უწყებების მიერ 2017 წლის ბოლომდე განხორციელებული საქმიანობა სრულად არ შეფასებულა.

ასევე, მონიტორინგისას, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო შესრულებული საქმიანობების ინდიკატორების დონეზე შეფასება, რადგან, ერთი მხრივ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბევრ საქმიანობასთან დაკავშირებით არ გაწერილა ბაზისი და მიზანი, რამაც ინდიკატორებს, საქმიანობის შეფასების მხრივ, მნიშვნელობა დაუკარგა. მეორე მხრივ, უწყებების მიერ მოწოდებულ პასუხებში ხშირი იყო შეფასებითი კატეგორიებით მსჯელობა (მაგ.: „თანაბარი მონაწილება უზრუნველყოფილია“, „გენდერული თანასწორობის პრინციპები გათვალისწინებულია“ და ა.შ.), რამაც კიდევ უფრო გაართულა უწყებების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში კონკრეტული საქმიანობების შედეგების შეფასება.

მონიტორინგის დროს გამოვლენილ შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული რეკომენდაციები მიმართული იქნება იმისაკენ, რომ ახალი სამოქმედო გეგმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, მეტად იყოს გათვალისწინებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ გოგონათა და ქალთა საჭიროებები.

მოქმედების სფერო I: მონაწილეობა

მიზანი 1: ქალთა გაზრდილი მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორში

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 აღიარებს ქალების მნიშვნელოვან წვლილს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და შერიგების, ასევე კონფლიქტის პრევენციისა და მართვის პროცესში. ამისათვის სახელმწიფოებს მოუწოდებს განახორციელოს ღონისძიებები, ქალთა და გოგონათა უფლებების დასაცავად და ხელი შეუწყოს ტრენინგებისა და მაღალი დონის შეხვედრებში ქალთა აქტიურ მონაწილეობას.

ეროვნული სამოქმედო გეგმა, უსაფრთხოების სექტორში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის მთელ რიგ საქმიანობებს მოიცავს, მათ შორის ტრენინგების და სწავლებების, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის, გენდერული თანასწორობის და ანტიდისკრიმინაციული პრინციპების შიდაუწყებრივი პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრირების მიმართულებით.

ამ კუთხით, პირველი ინდიკატორია ადამიანური რესურსების მიზნობრივი პოლიტიკის არსებობა, რაც 2017 წლისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების საბჭოში უნდა განხორციელებულიყო. საინტერესოა ამ მიმართულებით გაწერილი საქმიანობების შესრულების მაჩვენებელი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და უშიშროების ეროვნულ საბჭოს არ ჩაუტარებია ტრენინგი ადამიანური რესურსების დეპარტამენტების თანამშრომლებისთვის, ხოლო რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[4] ქალთა საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირებისათვის ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა სამინისტროს 25 თანამშრომელი[5] (საქმიანობა 1.1.1). მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტი, რომელიც დასახელებულ უწყებებს შორის ადამიანური რესურსების დეპარტამენტებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაცვლისა და გამოწვევების მიზნით კონფერენციის ორგანიზებას მოიცავდა (საქმიანობა 1.1.5), ასევე არ ჩატარებულა.

რაც შეეხება უსაფრთხოების სექტორში სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის შექმნას (საქმიანობა 1.1.2), მსგავსი სისტემა არცერთ პასუხისმგებელ უწყებაში არ შექმნილა. მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში ხდება მონაცემების ნაწილობრივი შეგროვება, თუმცა სამინისტროს არ გააჩნია ელექტრონული სისტემა, რაც მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პროცესს გააადვილებდა. აღნიშნული აქტივობის შეუსრულებლობა, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობისაკენ მიმართული ღონისძიებები ხშირად სპონტანურია, გარე ინიციატივებს ეხმიანება და უწყებებში მათი განხორციელება არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზს არ ეფუძნება.

ზოგადი პრინციპების დონეზე გაწერილი ერთ-ერთი საქმიანობა (1.1.4) ანტიდისკრიმინაციული კულტურის ხელშეწყობას შეეხებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შსს აკადემიაში, უბნის ინსპექტორთა და პატრულ ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისწავლება საგანი „გენდერული თანასწორობა“. ადამიანის უფლებების მიმართულებით, 2016 წელს უწყების 1360 თანამშრომელი გადამზადდა. რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, აღნიშნული საკითხი გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის[6]

---

[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 4 17 01412003; 14/06/2017

[5] ტრენინგი ჩატარდა პროექტის, „გაძლიერებული ქალები მშვიდობისა და განვითარებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ქალთა საინფორმაციო ცენტრი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით.

[6] საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 2014 წელს დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სტრატეგია, რომლის მიზანს გენდერული დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა, ქალისა და მამაკაცისათვის შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა და გენდერული ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა წარმოადგენს. ასევე შეიქმნა **გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი,** რომელსაც სახელმწიფო სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა და თავდაცვის სისტემაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენისას, შემთხვევაზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და უფლებამოსილი პირების ჩართვა ევალება.

პირდაპირი ვალდებულებაა. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა თავდაცვის სამინისტროს სისტემაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების შინაუწყებრივი მექანიზმის დოკუმენტზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული დოკუმენტის დროულად დამტკიცება და პრაქტიკაში მისი ეფექტიანი განხორციელებისთვის ხელის შეწყობა.

იმ საქმიანობასთან დაკავშირებით (1.1.3), რომელიც ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და გეგმების, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით შემუშავებას, მათ შესრულებას, მონიტორინგსა და შეფასებას გულისხმობდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია არ მოუწოდებია, რაც გულისხმობს, რომ უწყებას გეგმით დაკისრებული ვალდებულება არ შეუსრულებია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ადამიანური რესურსების პოლიტიკა და გეგმები გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუშავდება, ხოლო შესრულება და მონიტორინგი, როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელობის, ასევე გენდერული მონიტორინგის ჯგუფის მიერ ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ამ წერილიდან არ იკვეთება, თუ რას გულისხმობს უწყება „გენდერული ასპექტების გათვალისწინების“ კომპონენტში. ამასთან, თავდაცვის სამინისტროს გენდერის მრჩევლებთან შეხვედრისას მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, კვლავ პრობლემად რჩება გენდერის მრჩევლებისთვის სპეციალური სააღრიცხვო კოდისა და ცალკე შტატის გამოყოფის საკითხი.

ამავე ამოცანის შესრულებას ემსახურება საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისადმი დაკისრებული ვალდებულება (საქმიანობა 23.1.1.6), რომელიც უსაფრთხოების სექტორის დაწესებულებების მიერ კარიერული განვითარებისთვის შექმნილ პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფას გულისხმობს. ამ ამოცანის შესრულების შეფასების შესაძლებლობა, ინდიკატორის (1.1.ბ) დონეზე არ მოგვეცა, რადგან უწყებებს, ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობის შესახებ, არ მოუწოდებიათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს ორგანიზებულ ტრენინგებში, ვიზიტებსა თუ სასწავლო მოდულებში ქალთა თანაბარი მონაწილეობა უზრუნველყოფილია, თუმცა კონკრეტული ციფრები ქალთა თანაბარი მონაწილეობის დასადასტურებლად, უცნობია.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, წერილობით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თავდაცვის სისტემის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებს განვითარების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ, ხოლო პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეთა 55% ქალია.[7] მონიტორინგის მიზნებისათვის, ბუნდოვანია, თუ რას გულისხმობს „განვითარების

[7] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი NMOD 9 17 00640638;05/07/2017

თანაბარი შესაძლებლობები“. აღსანიშნავია, რომ დასაქმებული ქალებისთვის, ინგლისური ენის არცოდნა ტრენინგებსა და სასწავლო მოდულებში მონაწილეობის მთავარი ბარიერია, ხოლო ქალისა და მამაკაცის ფორმებსა და აღჭურვილობასთან დაკავშირებული პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია[8]. საანგარიშო პერიოდში გაცვლით ვიზიტებსა და პროგრამებში მონაწილეობა სქესის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:



კვლავ დაბალია ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობა 2017 წლისთვის, სულ მცირე, უნდა შენარჩუნებულიყო. სამწუხაროდ, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროდან არ მოგვეწოდა, შესაბამისად, ვერც პროცენტული მაჩვენებლის შეფასება მოხერხდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული გეგმით განსაზღვრული საქმიანობის (23.1.1.6) შესრულების ნაწილში დამხმარე უწყებად მოიაზრება. მონაცემთა ბაზებში განთავსებული და ხელმისაწვდომია მონაცემები 2014 და 2015 წლებში ქალი ოფიცრების წილზე, თავდაცვის უწყებაში. მსგავსი მონაცემები 2016–2017 წლების პერიოდისათვის არ მოიძებნა.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებული დეპარტამენტების ხელმძღვანელობის გენდერულ ჭრილში გადანაწილებას, არსებული 21 დეპარტამენტის ხელმძღვანელთაგან მხოლოდ 7 ქალია, 28 დეპარტამენტის უფროსის მოადგილიდან კი – 12. გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ქალთა დაბალი წარმომადგენლობაა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატშიც, სადაც გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე მხოლოდ ორი ქალია. სტატისტიკური მონაცემების გარდა, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა გაზრდილი მონაწილეობის წასახალისებლად (საქმიანობა 1.1.7) მიზნობრივი ტრენინგების ორგანიზება დაევალა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, თუმცა ეს საქმიანობა

[8] თავდაცვის სამინისტროს გენდერის მრჩევლებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ფორმები კაცების ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით არის შექმნილი და მორგებული არ არის ქალთა ფიზიკურ მოცემულობებსა და საჭიროებებზე.

საანგარიშო პერიოდში არ შესრულებულა. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა კი, მართალია, ჩაატარა მიზნობრივი ტრენინგები, თუმცა მონაწილე პირთა გენდერული განაწილების შესახებ ინფორმაცია არ მოუწოდებია, შესაბამისად, კონკრეტული ინდიკატორის გაზომვა ამ საქმიანობის კუთხით, შეუძლებელია.

ეროვნული სამოქმედო გეგმის (ინდიკატორი 1.1.გ) მიხედვით, 2015 წელთან შედარებით, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებსა და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი იგივე (30%–33%), ან გაზრდილი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ეს მაჩვენებელი საგარეო საქმეთა სამინისტროდან არ მოგვეწოდა, ხოლო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისაგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიაზე წარდგენილი დელეგაციის 10 წევრიდან 4 ქალი იყო (40%), ხოლო ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრაში (IPRM) მონაწილე ჯგუფში (6 წევრი) 2 ან 3 ქალი მონაწილეობდა (33% ან 50%).[9]

დადებითად უნდა შეფასდეს ეროვნული სამოქმედო გეგმის თანახმად, მოლაპარაკებების პროცესში ქალთა მონაწილეობა, თუმცა მხოლოდ მონაწილეთა დასწრება არ შეიძლება იყოს საქმიანობის შესრულების მაჩვენებელი. აუცილებელია მედიაციის პლატფორმების სწორად გამოყენება და კონფლიქტით დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ ქალთა და გოგონათა სპეციალური და გადაუდებელი საჭიროებების შესახებ იმ პირთა ინფორმირება, რომლებიც პირადად არიან ჩართული და შესაძლებლობა აქვთ, არსებული პრობლემის შემცველი საკითხები მაღალი დონის შეხვედრებისას დააყენონ, რაც თავისთავად გაზრდის პრობლემის მოგვარების შესაძლებლობას.

მიზანი 2: იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა, ასევე ქალთა და სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაზრდილი მონაწილეობა კონფლიქტის პრევენციისა და კონფლიქტის მოგვარების პროცესში

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ ხაზს უსვამს იძულებით და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა მონაწილეობას კონფლიქტის მოგვარების პროცესში. აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემად რჩება კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ დასახლებებში მცხოვრები ქალებისა და გოგონების საჭიროებების სათანადოდ შეფასება და შესაბამისი სერვისების მიწოდება. ამისათვის სამოქმედო გეგმით გაიწერა ამოცანა (1.2.2), რომელიც ითვალისწინებს ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად

[9] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი N1315/1.06.2017; N1569/30.06.2017

დაზარალებულ ქალთა საჭიროებების, პრიორიტეტების და რეკომენდაციების განხილვას, გათვალისწინებას და სახალხო დიპლომატიის ინიციატივების მხარდაჭერას. სამწუხაროდ, მოცემული ამოცანის ინდიკატორის დონეზე შესრულების შეფასება შეუძლებელია, რადგან სამოქმედო გეგმაში ბაზისი და მიზანი განსაზღვრული არ არის.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მონაწილეებისა და სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველთა, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნისათვის პასუხისმგებელ უწყებად, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განისაზღვრა. (საქმიანობა 23.2.1) მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[10], 2016 წელს 7 შეხვედრა გაიმართა და მათ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა უწყება ესწრებოდა. 2017 წელს 5 შეხვედრა გაიმართა.

სამწუხაროდ, 2017 წლის პირველ ნახევარში ჩატარებულ მსგავსი ხასიათის შეხვედრებთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ მოგვეწოდა. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის ანალიზი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მოლაპარაკებების დროს დღის წესრიგში არ დგას და არ განიხილება კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა სპეციფიკური საჭიროებები.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამართულ შეხვედრაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოსახლეობასთან შეხვედრებისას, ძირითადად, საყოფაცხოვრებო, ჯანდაცვის, განათლების და გადაადგილების საკითხები განიხილება. საანგარიშო პერიოდში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თემაზე და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების შესახებ მხოლოდ ერთი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრებს, ძირითადად, კონკრეტული უწყების ხელმძღვანელი პირები ესწრებიან, მათი უმეტესობა კი კაცია.

სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიმართულება, ამავე მიზნის შესასრულებლად, ნდობის აღდგენისაკენ მიმართული პროექტების ხელშეწყობას ითვალისწინებს (საქმიანობა 2.2.2), რომლის შესრულებაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაევალა. მოწოდებული ინფორმაციით, სახალხო დიპლომატიის ინიციატივების მხარდაჭერისთვის, თანხმობა გაიცა 84 პროექტზე, საიდანაც ქალთა საკითხებს 17 ეხებოდა. 3 პროექტი უშუალოდ ქალთა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს. მათივე ინფორმაციით, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით,

[10] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი N1315/1.06.2017; N1569/30.06.2017

დაწყებულია ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმის მესამე ფაზის განხორციელება.[11]

ეროვნული სამოქმედო გეგმის საანგარიშო პერიოდში ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის ინიციატივების პროცენტული მაჩვენებელი 20%–ით უნდა გაზრდილიყო (ინდიკატორი 2.2.ა), თუმცა ჩვენთვის ინფორმაცია ამ თემაზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს არ მოუწოდებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის, რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნას ითვალისწინებდა, ნაწილობრივ განხორციელდა. სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით, ტარდება გარკვეული შეხვედრები მოსახლეობასთან, თუმცა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და დევნილი მოსახლეობა ხშირად ამ შეხვედრებზე ინფორმაციას არ ფლობს, ან ყველა ადგილმდებარეობის სრულად დაფარვა რესურსების არარსებობის გამო ვერ ხერხდება.

სახელმწიფო უწყებების მიერ ორგანიზებული შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, არასაკმარისია.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, განხორციელებისათვის საქართველოს 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების საკოორდინაციო ჯგუფის[12] შეხვედრა, სადაც რეალურად უნდა ხდებოდეს მიღწეული შედეგების გაზიარება, არ უნდა იყოს ერთადერთი ქმედითი პლატფორმა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გეგმის შესრულების პროცესში არსებული პრობლემების გასაჟღერებლად. განსაკუთრებით პრობლემურია ისეთი საკითხები, როგორიც არის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და დევნილი ქალების საჭიროებების გამოვლენა და შემდგომ მათი დახმარება.

მოქმედების სფერო II: პრევენცია

მიზანი 3: სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის გაზრდილ რისკზე

[11] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი N1315/1.06.2017; N1569/30.06.2017

[12] 2017 წლის 12 ივნისს საქართველოს მთავრობის №286 დადგენილებით დამტკიცდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში უწყებათაშორისი კომისია) დებულება და შეიქმნა ინსტიტუციური მექანიზმი აღმასრულებელ ხელისუფლებაში

და სახელმწიფოებს სამშვიდობო, ასევე დემობილიზაციის, რეინტეგრაციის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში სექსუალური ძალადობის საკითხის გათვალისწინებისკენ, ხოლო მსხვერპლებისა და დაზარალებულებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისკენ, ახალი მექანიზმების შექმნისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფისკენ მოუწოდებს.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, დასახული ამოცანა გულისხმობს მოქმედი სისტემების შექმნას გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ინფორმირებულობის მიზნით, უსაფრთხოების პოტენციური რისკების, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების სპეციფიკური რისკების არსებობის თაობაზე.

ამოცანის ფარგლებში, საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაევალა წელიწადში ორჯერ საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, იძულებით გადაადგილებულ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათი ოჯახის წევრებთან, სექსუალური ან სხვა გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა რისკების თაობაზე (საქმიანობა 3.1.1).

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით[13], საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აპარატმა ამ საქმიანობის შესასრულებლად, კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობასთან 9 შეხვედრა გამართა. ინფორმაციის დასაზუსტებლად განხორციელებული ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს, რომელიც საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელთან მოეწყო, გამოვლინდა, რომ შეხვედრები, ძირითადად, უსაფრთხოების, ომის ნარჩენებისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის საკითხებს ეხებოდა, ქალებისა და გოგონებისათვის სპეციფიკური რისკები კი, არ განუხილავთ. ამასთან, საანგარიშო პერიოდში არც გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისა და გოგონების საჭიროებები შეუსწავლიათ და არც ინფორმაცია განუახლებიათ, რაც, სამოქმედო გეგმით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას ჰქონდა დავალებული (3.1.3).

ამავე ამოცანის მისაღწევად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალ ეროვნულ გეგმაში სამოქალაქო თავდაცვის, უსაფრთხოებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის N1325-ის ძირითადი პრინციპების ინტეგრირება დაევალა (3.1.2). ზემოხსენებული საკითხები, მოწოდებული ინფორმაციით, ინტეგრირებულია საგნებში – „მე

[13]შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი N1315/1.06.2017; N1569/30.06.2017

და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“, ასევე, მომზადდა ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის საგნის, „მოქალაქეობა“, სტანდარტის პირველადი ვერსია, რომელიც გლობალურ სამშვიდობო პროცესებს მიმოიხილავს, თუმცა საანგარიშო პერიოდში ის არ დაუმტკიცებიათ.

ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა უსაფრთხოების სექტორის, სამშვიდობო პერსონალისა და სამართალდამცავი სისტემების შესაძლებლობების გაზრდა, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების გასაზრდელად, მათ შორის, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში. ამ ამოცანის პირველი ინდიკატორი (3.2.ა) ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გადამზადებული უსაფრთხოების სექტორისა და მოსამსახურეების 10%-ით გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო.

ამ მიზნით, თავდაცვის სამინისტროს, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და შესაბამის რეაგირებაზე, მათ შორის, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში, უსაფრთხოების სექტორის თანამშრომელთათვის სავალდებულო ტრენინგების შემოღება დაევალა (საქმიანობა 3.3.2). მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კონფერენციები თემაზე – „გენდერული მეინსტრიმინგი უსაფრთხოების სექტორში“, „უსაფრთხოების სექტორში რეზოლუციის პრინციპების განხორციელება“. ასევე გაიმართა ფორუმი „გაძლიერებული ქალები მშვიდობისა და განვითარებისთვის“. საანგარიშო პერიოდში, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის აქტივობებში 557 ადამიანი მონაწილეობდა, მათგან 201 ქალი იყო.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკრედიტებული სასწავლო პროგრამა გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ 4-საათიან ლექციას ითვალისწინებს. საანგარიშო პერიოდში ეს სასწავლო პროგრამა სულ 553 მოსამსახურემ, მათ შორის 16-მა, ქალმა გაიარა. უნდა აღინიშნოს, რომ ქალები სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 7%–ს შეადგენენ.

თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ტრენინგები ტარდება საერთაშორისო მისიებში სამხედრო მოსამსახურეთა ყველა გადასროლის წინაც. სულ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, 4000-მდე სამხედრო მოსამსახურე გადამზადდა. აღსანიშნავია ოჯახში ძალადობის თემატიკაზე ტრენინგების მნიშვნელობა სამშვიდობო მისიებში მყოფი პირებისთვის, თუმცა, იმისათვის, რომ შედეგებზე მსჯელობა გასცდეს რაოდენობრივი შესრულების კომპონენტს, მნიშვნელოვანია ტრენინგების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმის დანერგვა.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტრომ მოგვაწოდა ინფორმაცია განათლებისა და გადამზადების კუთხით გენდერის სფეროში განხორციელებული აქტივობების შესახებ,

ამოცანის შესრულების ინდიკატორის დონეზე გაზომვა მაინც შეუძლებელია, რადგან უცნობია 2015 წელს გადამზადებული უსაფრთხოების სამსახურისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილე მოსამსახურეების რაოდენობა და შედეგად, იმის გაზომვა, 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა თუ არა მაჩვენებელი 10%-ით. მიუხედავად იმისა, რომ უწყების მიერ განხორციელებული აქტივობები ამ კუთხით დადებითად უნდა შეფასდეს, მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამოცანაში დასმული აქცენტი, სექსუალურ და გენდერულ ძალადობაზე, უწყებების მიერ შესრულებულ საქმიანობაში გარკვეულწილად დაკარგულია და შემდგომში მნიშვნელოვანია ამოცანის ამ კომპონენტზე ყურადღების გამახვილება.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობით, უწყებებს თანამშრომლებისათვის სავალდებულო ტრენინგების ჩატარება დაევალათ „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების შესახებ კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში (3.2.2), რომლის შესასრულებლადაც, თავდაცვის სამინისტრომ ორი კონფერენცია ჩაატარა,[14] ხოლო საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაეროს რეზოლუციების, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების“ თემაზე (3.2.3) 2016 წელს 2 ტრენინგი ჩაატარა და 40 პროკურორი გადაამზადა.[15] გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი დაინტერესდა ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობით გენდერულ ჭრილში, თუმცა გვეცნობა, რომ უწყებას არ ევალებოდა ტრენინგში მონაწილეთა სქესის მითითება, შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, გავაანალიზოთ, რამდენად დაცულია გენდერული ბალანსი აღნიშნული ტრენინგების გავლისას საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, დასაქმებულთათვის გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 და შემდგომი რეზოლუციების შესახებ, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე სპეციალური ფოკუსით, ტრენინგები არ ჩაუტარებია.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის აპარატს, რომელსაც დაევალა ამავე ამოცანის შესასრულებლად ტრენინგების ჩატარება მედიისათვის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპებზე, გენდერულად მგრძნობიარე მედია გაშუქების შესახებ (3.2.5), 2016 წელს სახალხო დამცველის აპარატის დახმარებით ჩაატარა ტრენინგი, 2017 წლის 18

[14] თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2016 წელს გაიმართა კონფერენცია თემაზე „გენდერული მეინსტრიმინგი უსაფრთხოების სექტორში“, სადაც თავდაცვის აკადემიის იუნკრებმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სტუდენტებმა უსაფრთხოების სექტორში გენდერულ მეინსტრიმინგთან დაკავშირებით პრეზენტაციები წარადგინეს. 2017 წელს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში გაიმართა კონფერენცია „საქართველოს უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელება“.

15 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი N13/36553/5.06.2017; N13/39698/16.06.2017

დეკემბერს ასევე დაგეგმილია ზემოთაღნიშნულ საკითხებზე ჟურნალისტებისათვის სემინარის ჩატარება.

შესაფასებლად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქმედო გეგმის აქტივობები სახელმწიფო უწყებების მხრიდან ძირითადად განხორციელებულია შიდა დონეზე, თანამშრომლების ცნობიერების ასამაღლებლად და მათი უნარების გასაზრდელად. ამასთან, განხორციელებული აქტივობები არ არის ფოკუსირებული გენდერულ და სექსუალურ ძალადობაზე, ხოლო თავად სწავლებები, უწყებების რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე, არასაკმარისია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

მოქმედების სფერო III: დაცვა

მიზანი 4: სოციალურ–ეკონომიკურად გაძლიერებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები, გოგონები და მათი ოჯახის წევრები

საქართველოში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, თუმცა მათ შორის განსაკუთრებული მოწყვლადობით გამოირჩევიან ქალები და გოგონები[16]. მიუხედავად მრავალი პრობლემისა, რომელიც შეეხება პირთა დაცულობას, უსახლკარობას, გადაადგილებასა და სასიცოცხლო, პირველად რესურსებზე ხელმისაწვდომობას, სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგისას განსაკუთრებით გამოიკვეთა იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის პირას დასახლებებში მცხოვრები ქალებისა და გოგონების ეკონომიკური მონაწილეობის პრობლემა.

სამოქმედო გეგმის მესამე მიმართულების მთავარი მიზანია დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, გოგონებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერება. ამ მიზნის მისაღწევად გაწერილი 12 ამოცანა მოიცავდა რეგიონში იურიდიული საკონსულტაციო შეხვედრების მოწყობას, ცნობიერების ამაღლებას და ხელშეწყობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მცირე გრანტებით უზრუნველყოფას და სხვადასხვა სახის მხარდაჭერას ქალებისა და გოგონების დასაცავად და გასაძლიერებლად, მათ შორის სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი მომსახურების მიწოდებას.

იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონებისათვის ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებისა და უფასო იურიდიული

16 ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში. ხელმისაწვდომია ონლაინ:
http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4459.pdf

მომსახურების სისტემის შექმნა (4.1), იურიდიული დახმარების სამსახურის ვალდებულება იყო. უწყებას, გამყოფი ხაზის მიმდებარე რეგიონებში მცხოვრები ქალებისა და გოგონებისათვის, წლიურად არანაკლებ 10 უფასო იურიდიული დახმარების საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება ევალებოდა. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[17] საკონსულტაციო შეხვედრები შემდეგ რეგიონებში გაიმართა[18]:



ამავე საქმიანობის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს როლი, „იურიდიული დახმარების სამსახურისთვის“ საკონსულტაციო შეხვედრების გასამართად შესაბამისი სივრცის (საზოგადოებრივი ცენტრების სახით) დათმობაში გამოიხატება.[19] 2016–2017 წლებში სოფელ მეჯვრისხევის საზოგადოებრივ ცენტრში 58 საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, იურიდიული დახმარების რეგულარულ მიწოდებას იძულებით გადაადგილებული და გამყოფი ხაზის მიმდებარე რეგიონებში მცხოვრები ქალებისა და გოგონებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის, ასევე უზრუნველყოფდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (საქმიანობა 4.1.2). სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[20], გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ისინი ეწევიან საჭირო იურიდიულ დახმარებას და საჭიროების შემთხვევაში სასამართლოში იცავენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების ინტერესებს.

2016–2017 წლებში გაწეული იურიდიული კონსულტაცია:

---

17 იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი NLA 3 17 00011408/13.06.2017;

18 2017 წელს (იანვარი–მაისი) იურიდიული დახმარება გაეწია 529 დევნილს, მათ შორის 272 ქალს და 257 კაცს. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან ჩატარდა 6 შეხვედრა. გამყოფი ხაზის მიმდებარე რეგიონებში ჩატარდა 3 შეხვედრა (2 შეხვედრა მოხისისა და ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში, 1 - სოფელ პერევში); 3 შეხვედრა ჩატარდა დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში (საგურამო, კოდა, ზუგდიდი). მოწოდებული ინფორმაციით, შეხვედრებს სულ დაესწრო 100 პირი: 68 ქალი 32 კაცი.

19 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო N3103/25.05.2017

20 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N04/07/13891/31.05.2017

სულ 2016-17 წლებში იურიდიული კონსულტაცია გაეწია	3549 ბენეფიციარს	2778 ქალი (63.4%)	1606 კაცი (36.6%)
ორი გასვლითი შეხვედრა დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში	120 ბენეფიციარს	83 ქალი (69%)	37 კაცი (31%)

მისასალმებელია, რომ 2015 წელთან შედარებით, 2016–2017 წლებში საკმაოდ გაზრდილია გაცემული იურიდიული კონსულტაციის რაოდენობრივი მაჩვენებელი. 2015 წლის მონაცემებთან შედარებისას, შეიძლება ითქვას, რომ სამოქმედო გეგმით გაწერილი ინდიკატორი მიღწეულია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მონაცემის გაანალიზების საშუალება სრულად არ მოგვეცა.

მიუხედავად გაზრდილი რაოდენობრივი მაჩვენებლისა, აღნიშნული საქმიანობის შესრულების შეფასებისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ გამყოფი ხაზისა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის გეოგრაფიული მოცვაც და არა მხოლოდ რაოდენობრივი კომპონენტი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლები იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში ჩავიდნენ. იქ გამართულმა შეხვედრებმა ზემოთ აღნიშნული საქმიანობის შესრულების კუთხით განსხვავებული ინფორმაცია გამოავლინა.

კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობასთან შეხვედრებისას აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით შეხვედრების ნაკლებობასთან ერთად, უფლებებისა და არსებული სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელიც გამოვლინდა.

ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ კოდაში, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ (გეგმის მიხედით სამინისტრო მოიაზრება თანამშრომელ უწყებად) ჩატარებულ 4 საინფორმაციო შეხვედრას მოსახლეობა დადებითად აფასებს. დღეის მდგომარეობით, კოდაში ერედვის მუნიციპალიტეტიდან მივლინებულია 1 იურისტი, შესაბამისად მოსახლეობა შეძლებისდაგვარად იღებს იურიდიულ კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. წეროვნის დევნილთა ჩასახლებაში, შეხვედრის მონაწილეების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იურიდიული დახმარების სამსახურმა 2016 წელს მხოლოდ ერთხელ გამართა საინფორმაციო შეხვედრა.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური ფარავდა 2016-17 წლებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, იძულებით გადაადგილებული და გამყოფი ხაზის

მიმდებარე რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა იურიდიული დახმარების კუთხით ვერ გრძნობს არსებით გაუმჯობესებას.

დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა, გოგონათა და მათი ოჯახის წევრთა გაძლიერებას ემსახურებოდა ამავე მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანა (4.2), რომელიც სამიზნე ჯგუფისათვის ეკონომიკური გაძლიერებისაკენ მიმართული პროგრამების ხელმისაწვდომობას გულისხმობდა. ამ მიზნის მისაღწევად განსაზღვრული საქმიანობა (23.4.2.1), არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს. აღნიშნული საქმიანობის შესრულება იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[21], სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ შეთავაზებულ „სამუშაოს მაძიებელთა ტრენინგისა და გადამზადების სახელმწიფო პროგრამას“ 2053 ბენეფიციარი ჰყავდა. მათ შორის იყო 156 დევნილი, რომელთა შორის 110 ქალი იყო (70%), 46 კაცი. პროგრამაში ჩართულ დევნილთა რაოდენობამ დაახლოებით 7.5% შეადგინა.

2016–2017 წლებში შრომის ბაზარზე ქცევის წესების თაობაზე, ჯგუფური კონსულტაციები გაიარა 430–მა დევნილმა. მათ შორის 324 ქალი იყო (75.4%). ვინაიდან 2015 წელს პროგრამაში ჩართული იყო მხოლოდ 44 დევნილი, 2016 წელს პროგრამაში ჩართულთა რაოდენობა 877%–ით გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობიერების ამაღლების ნაწილში, სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს (4.2.ბ), სახალხო დამცველის აპარატის მიერ ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დასაქმება კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის კვლავ გადაუჭრელი პრობლემაა. შესაბამისად, ამოცანა საკმარისი არ არის გეგმით დასახული მიზნის შესასრულებლად, რომელიც ქალთა და გოგონათა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას გულისხმობს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, როგორც თანამშრომელი უწყება (4.2.1), ახორციელებდა საინფორმაციო აქტივობებს იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ცნობიერების ასამაღლებლად იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ არის მიმართული. მოწოდებული ინფორმაციით, უწყება ასევე ამუშავებს სტატისტიკურ ინფორმაციას დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ იმ ქალთა პროცენტულ რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც სარგებლობენ პროფესიული განათლების, გადამზადებისა და

[21] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N04/07/13891/31.05.2017

მეწარმეობის განვითარების პროგრამებით. ამავე ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაიწყო 11474 სტუდენტმა, რომელთა შორის 6578 იყო კაცი, ხოლო 4896 ქალი. (45%). მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016-17 წლებში დევნილის სტატუსის მქონე 1347 სტუდენტიდან, 647 ქალია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ქალთა და გოგონათა მონაწილეობისათვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა (4.2.2). მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[22] 2016 წლის სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულია 848 დევნილი, მათ შორის 433 ქალი. სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ მიერ, პროფესიული სასწავლებლის სოციალურად დაუცველმა 50–მა სტუდენტმა მიიღო დახმარება, ტრანსპორტის ხარჯის ან საცხოვრებლის ქირაობის ხარჯების ანაზღაურებით (მათ შორის 22 ქალი იყო).

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, დაფინანსებულია 95 სოციალურად დაუცველი დევნილი, მათ შორის 48 (50.5%) ქალია. ხოლო მეორე კვარტალში აღნიშნულ პროგრამაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც პროგრამა გავრცელდება ყველა დევნილზე, ვინც 2016–2017 წლებში ჩაირიცხა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და დაუფინანსდებათ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნული ცვლილება მისასალმებელია, რადგან განათლებისა და გადამზადების კუთხით ძირითად გამოწვევად გადაადგილების პრობლემა დასახელდა, თუმცა, პარალელურად, აუცილებელია უკეთესად დაიგეგმოს და განხორციელდეს პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიები.

დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრებისას მიღებული ინფორმაციით, წეროვნის დევნილთა ჩასახლებაში, წითელუბანსა და კოშკაში პროფესიული გადამზადების კურსების დაფინანსების შესახებ ძირითადად ინტერნეტის საშუალებით იგებენ. მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სასურველია მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ პროფესიული გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად, კერძოდ, ტრანსპორტირებისა და მათი სხვა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით. მაგალითად, შეხვედრების ორგანიზებისას აუცილებელია იძულებით გადაადგილებული მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების საჭიროებების გათვალისწინება, რათა მათ შეძლონ აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა.

ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში, ფოკუს ჯგუფის შედეგად მიღებული ინფორმაციით, გადამზადების კურსების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა არ ჩატარებულა. ხოლო სოფელ

[22] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N04/07/13891/31.05.2017

ჯვარში არსებულ სახელმწიფო კოლეჯში 6-დან 12 თვემდე გადამზადება შესაძლებელია, თუმცა ეს, სამუშაო ადგილების არარსებობის გამო, დასაქმების მაჩვენებელზე არ აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საქმიანობის ინდიკატორის დონეზე გასაზომად, სამოქმედო გეგმაში მიზანი გაწერილი არ ყოფილა, 2015 წლის მონაცემთან შედარებით,[23] ჯამში, ორი წლის განმავლობაში, პროფესიული განათლების პროგრამებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა უმნიშვნელოდ გა2016–2017 წლებში შრომის ბაზარზე ქცევის წესების თაობაზე ჯგუფური კონსულტაციები გაიარა 430–მა დევნილმა. მათ შორის 324 ქალი (75.4%). ვინაიდან 2015 წელს პროგრამაში ჩართული იყო მხოლოდ 44 დევნილი, 2016 წელს პროგრამაში ჩართულთა რაოდენობა 877%–ით გაიზარდა.

იზარდა, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ამოცანა შესრულებულად ჩაითვალოს. ამასთან, მნიშვნელოვანია, შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, ამოცანის შესრულების კომპონენტში ინდიკატორად არა მარტო გადამზადებულთა, არამედ დასაქმებულთა რაოდენობის გათვალისწინებაც. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გადამზადების პროგრამების დაგეგმვისას უწყებებმა გაითვალისწინონ ქალთა და გოგონათა სპეციალური საჭიროებები, მაგალითად გადაადგილებისა და მონაწილეობის კუთხით.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ასევე ევალებოდა იძულებით გადაადგილებული პირების, განსაკუთრებით კი ქალებისა და გოგონების მცირე გრანტებით თანადაფინანსებით უზრუნველყოფა (4.2.3). მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს სამინისტროს სსიპ „საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ“ გრანტები თანადაფინანსებით გასცა 259 ბენეფიციარზე, მათ შორის იყო 132 ქალი (50.9%). 2016 წელს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანდა 444 დევნილი, მათ შორის 180 ქალი (40.5%). შედეგად, საანგარიშო პერიოდში არსებული მონაცემი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 88%–ით.

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობა (4.2.4) გამოიხატებოდა ტრენინგების ჩატარებაში იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის სამეწარმეო, ბიზნეს და სხვა უნარ-ჩვევებში, მცირე ბიზნესის დასაწყებად. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სისტემაში შემავალი სსიპ „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით, რეგიონებში მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამების დანერგვას, ტექნიკურ მხარდაჭერას, სტაჟირებას და კონსულტაციებს ითვალისწინებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[24] 2015–2016 წლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის

[23] 10,405 სტუდენტი, მათ შორის 43% ქალი, ხოლო დევნილის სტატუსის მქონე 565 - ქალი 5.4%
[24] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი N08/3438/12.06.201

პროგრამის ფარგლებში 4911 ადამიანი, მათ შორის 180 იძულებით გადაადგილებული პირი, დაფინანსდა. სამწუხაროდ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გარდა, ყველა რეგიონში დაბალია პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი, კერძოდ:



სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნავდა, რომ „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას“ (შემდგომში სამთავრობო კომისია) უნდა ემსჯელა ისეთი აგრარული და სამეწარმეო პროექტების შესახებ, რომლებიც მორგებული იქნებოდა კონფლიქტებით დაზარალებული თემების სპეციფიკურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. თუმცა, ამგვარი სპეციფიკური პროგრამის ინიცირების შესახებ სამთავრობო კომისიას ამ დრომდე არ უმსჯელია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტომ“ 2016 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 147 ბენეფიციარი დააფინანსა. ჯამურმა თანხამ 655,649 ლარი შეადგინა. თუმცა, გარდა იმისა, რომ ეს ძალიან მცირე თანხაა რეალური სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად (საშუალოდ ბენეფიციარზე დაახლოებით 4460 ლარი), ეს პროგრამა არ არის გათვლილი კონკრეტულად კონფლიქტით დაზარალებული თემებისათვის[25].

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან ქალებისთვის სამეწარმეო, ბიზნეს და უნარ–ჩვევებში გადამზადება სრულად შესრულებულად ვერ ჩაითვლება, და ეს საკითხი, დევნილი და გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

[25] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016. ხელმისაწვდომია ონლაინ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

მოსახლეობასთან სახალხო დამცველის წარმომადგენლების შეხვედრით ირკვევა, რომ იძულებით გადაადგილებული და გამყოფი ხაზის მიმდებარე რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა მცირე გრანტების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულია. ამ მიმართულებით, ერთადერთ გამოწვევად პროექტის წერაში დახმარების საჭიროება დასახელდა. შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციით, ქალთა მიერ გამოთქმული ინიციატივები, სამკერვალოების, მცირე, კენკროვანი სათბურების და მსხვილფეხა საქონლის პროექტების დაფინანსების შესახებ, ხშირად მხარდაჭერილია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობამ პროექტის, „აწარმოე საქართველოში", ფარგლებში ჩატარებული ტრენინგი არადამაკმაყოფილებლად შეაფასა, რადგან ტრენინგი არ იყო მორგებული მათ საჭიროებებზე, ხოლო გამოყენებული ტერმინოლოგია მათთვის ბუნდოვანი აღმოჩნდა. მათი თქმით, ტრენინგებში დაბალი მონაწილეობა პროექტის „ჩავარდნის" შემთხვევაში თანხის უკან დაბრუნების კომპონენტზე აქცენტირებითაც იყო გამოწვეული, რამაც მოსახლეობის გაძლიერების კუთხით უარყოფითად იმუშავა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეკონომიკური გაძლიერების მიზნით დაგეგმილი ტრენინგები მოსახლეობისათვის გასაგები ტერმინოლოგიის გამოყენებით გაიწეროს, შინაარსი კი მათ საჭიროებებზე იყოს მორგებული.

მოსახლეობასთან შეხვედრებმა ასევე ცხადყო, რომ პროფესიული გადამზადების კურსებთან დაკავშირებული ინფორმაცია და ჩართულობა ძალიან მწირია ანაკლიაშიც. ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სწავლა და გადამზადება პრიორიტეტული არ არის.

შესაბამისად, საქართველოში კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები და მოლოდინები განსხვავებულია. პროგრამების დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია, რომ მხედველობაში იქნას მიღებული ამ ჯგუფების განსხვავებული საჭიროებები, და მათი გათვალისწინებით შემუშავდეს აღნიშნული პროგრამები მათ შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მთავრობამ მოქნილი და წამახალისებელი სამართლებრივი და ლოჯისტიკური მექანიზმი უნდა შეიმუშაოს და გამოყოს ფინანსური რესურსი, რომლის შედეგადაც შესთავაზებს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას მათ საჭიროებებზე მორგებულ სპეციალურ სამეწარმეო პროგრამებს.[26]

ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ქალთა და გოგონათა გაძლიერებისაკენ მიმართულ ერთ-ერთ ამოცანად (4.3) საჯარო სერვისებზე (ჯანდაცვა, სოციალური დაცვა და ა.შ.) იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ქალთა თანაბარი ხელმისაწვდომობა განისაზღვრა. ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოს შრომის,

[26] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016; ხელმისაწვდომია ონ-ლაინ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისათვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისებზე კონცეფციის შემუშავება დაევალა (4.3.1), თუმცა სამოქმედო გეგმა არ განსაზღვრავს იმ უწყებას, რომელიც ვალდებულია ამ პირებისთვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კუთხით სერვისი გასწიოს. ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, ფონდ „ღია საზოგადება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, შეიმუშავეს ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი, ასევე, 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც, მართალია გულისხმობს ფსიქო-სოციალური დახმარების დიფერენცირებულ პროგრამებს, თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ შეუმუშავებიათ და დაუმტკიცებიათ. ამასთან, გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულების შეფასება ინდიკატორის დონეზე ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია, რადგან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გაწერილა ბაზისი და მიზანი ამ კონკრეტულ ამოცანასთან დაკავშირებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანხმად,[27] ქვეყანაში 1995 წლიდან მოქმედებს ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც რაიმე კომპონენტით კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის ქალთა და გოგონათა ფსიქო-სოციალურ საჭიროებებსა და გაძლიერებისაკენ მიმართული არ არის. დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრებისას დადგინდა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია და ხელი არ მიუწვდებათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისებზე, რაც დიფერენცირებული და სამოქმედო გეგმის სამიზნე ჯგუფზე მორგებული სერვისების შესახებ კონცეფციის არარსებობით და საკითხთან დაკავშირებული სტიგმით შეიძლება აიხსნას.

გორში გამართული საინფორმაციო შეხვედრისას არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ 2015 წლის შემდეგ, ამ მიმართულებით, პროექტი არცერთ ორგანიზაციას არ განუხორციელებია.

გარდა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა, სახალხო დამცველმა სამიზნე ჯგუფებთან გამართულ შეხვედრებზე ჯანდაცვის მიმართულებით სხვა სახის ინფორმაციაც მიიღო. კერძოდ, დაბალია მოსახლეობის ცნობიერება ჯანმრთელობის დაცვის სერვისებთან დაკავშირებით, თუმცა, ზოგიერთი შეხვედრისას, მაგალითად, წეროვნის დევნილთა დასახლებაში, აღნიშნეს, რომ ხშირად უტარდებათ გამოკვლევები, მათ შორის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით, ხოლო სკრინინგის პროგრამით თბილისში სარგებლობენ. თუმცა, მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ძირითად მედიკამენტებზე კვლავ პრობლემური საკითხია.

[27] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/34990/31.05.2017

კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ დასახლებებში მცხოვრები ქალებისა და გოგონებისთვის აუცილებელია რეპროდუქციული და ფსიქო-სოციალური, ასევე მათ საჭიროებებზე მორგებული ჯანდაცვის სერვისების მიწოდება.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ თბილისში მომუშავე იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ გაეროს რეზოლუცია N1325–ის შესრულების მიმართულებით. მოწოდებული ინფორმაციით, საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა, რომელსაც ყველა უწყება ესწრება, მათთვის თითქმის ერთადერთი ეფექტიანი პლატფორმაა არსებულ პრობლემებზე სასაუბროდ, რადგან, უწყებების სრული ჩართულობის გამო, ხშირად სწორედ ამ შეხვედრისას ხდება მათი გადაჭრის გზების დასახვა.

მონიტორინგის შედეგად იკვეთება, რომ ჩატარებული შეხვედრები არ არის საკმარისი და ეფექტიანი კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა პრობლემების განსახილველად. კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ რეგიონებში, დევნილ მოსახლეობაში, არსებობს რიგი პრობლემები, რომელიც უწყებათა დღის წესრიგში, არ ხვდება, კერძოდ: ადგილობრივ თვითმართველობასთან კომუნიკაციის დეფიციტი, ოჯახში ძალადობის ხშირი შემთხვევები, რასაც თან სდევს სტერეოტიპული დამოკიდებულებები და არასათანადო რეაგირების ფაქტები პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან, პრობლემურია უსაფრთხოების საკითხებზე დაბალი ინფორმირებულობის დონე, და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არათანმიმდევრული ქმედებები საზღვრის კვეთისას საჭირო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. პრობლემურია ქალთა და გოგონათა მონაწილეობა და სრულფასოვანი რეპრეზენტაცია მოლაპარაკებებსა და კონფლიქტის მოგვარების პროცესში, პრობლემური საკითხების წინ წამოწევა და გადაწყვეტა კი, ინდივიდუალურ ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონფლიქტურ რეგიონებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი საერთოდ არ ფლობდა ინფორმაციას უწყებების მიერ გამართული საინფორმაციო შეხვედრების შესახებ, რაც თავისთავად გულისხმობს კომუნიკაციის პრობლემის არსებობას გეგმის შესრულების პროცესში. ამასთან, მთავარ გამოწვევად რჩება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ ქალთა და გოგონათა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებული ინფორმაციით, ჯანდაცვის სამინისტრომ გეგმის შემუშავების პროცესში თქვა უარი ამ ვალდებულების შესრულებაზე, რამაც ეს საქმიანობა განმახორციელებელი უწყების გარეშე დატოვა.

ასევე, სხვადასხვა რეგიონში შეხვედრებისას მოსახლეობამ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში მათ საჭიროებებზე მორგებული შეხვედრები, ძირითადად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული, რომელიც სამოქმედო გეგმის

მიხედვით, 2016-17 წლებში არ არის გამოყოფილი პასუხისმგებელ უწყებად. თუმცა იყო სოფლები, სადაც არცერთი შეხვედრა არ ჩატარებულა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით,[28] იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშემწყობ პროგრამებზე ქალებისა და გოგონების ინფორმირებულობის მიზნით, სამინისტროს შიდა კომუნიკაციის სტრატეგიაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინების კუთხით (4.3.2), 2016 წელს შემუშავდა და დამტკიცდა დევნილთა სამინისტროს კომუნიკაციის სტრატეგია და მასში აისახა გენდერული თანასწორობის პრინციპები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გეგმის მიხედვით, პასუხისმგებელი იყო შეექმნა მონაცემთა ერთიანი ბაზა (საქმიანობა 4.3.3), რომელიც თავს მოუყრიდა სქესისა და ასაკის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემებს (ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე და საცხოვრებელი პირობები). მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტატისტიკის ეროვნული ბიურო აგროვებს მონაცემებს, თუმცა ეს მონაცემები ამ დრომდე ხელმიუწვდომელია.

საჯარო სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, სამეგრელოში, იმერეთში, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებში იძულებით გადაადგილებული ქალებისა და გოგონების საჭიროებების განსახილველად და გადასაწყვეტად, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა დაევალა (საქმიანობა 4.3.4), რომლის ფარგლებშიც სამინისტრომ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით, 3 გაფართოებული შეხვედრა ჩაატარა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრები გაიმართა თბილისში, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, ზუგდიდში – სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის მუნიციპალიტეტების მონაწილეობით და ქუთაისში – იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტის მონაწილეობით. მოსახლეობასთან შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციით, მოსახლეობა სუსტად აფასებს მუნიციპალიტეტების მონაწილეობას აღნიშნული გეგმის განხორციელების პროცესში და მომავალი გეგმის განხორციელებისას გარკვეული საქმიანობების შესრულებას სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან ითხოვს, რაც მათი აზრით უფრო ქმედითს და ეფექტიანს გახდის რიგი საქმიანობების შესრულებას.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის ეფექტიანი რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ უწყებად სსიპ ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი განისაზღვრა.

[28] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N04/07/13891/31.05.2017

გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესასრულებლად ფონდს უნდა შეემუშავებინა კონცეფცია ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანი რეაბილიტაციისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი იქნებოდა. მოწოდებული ინფორმაციით, ფონდმა შეიმუშავა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების სახელმძღვანელო პრინციპები, რაც ფონდისთვის არის ჩარჩო დოკუმენტი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების განსასაზღვრავად.

ამასთან, ფონდს ასევე დაევალა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი მომსახურების მიწოდება. ამ მიმართულებით, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად 2017 წელს ფონდის სტრუქტურული ერთეულის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების თბილისის კრიზისული ცენტრის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა დაიწყო, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დასამატებლად, სამიზნე ჯგუფების გაფართოებას ითვალისწინებს.

ვინაიდან ეს ინიციატივა მხოლოდ საანგარიშო პერიოდის ბოლოს განხორციელდა, რთულია იმის შეფასება, რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა მასთან დაკავშირებით, თუმცა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის, შესაბამისი სერვისებით სარგებლობის კუთხით ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული პერიოდული საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, სასურველია.

მოქმედების სფერო V: გაეროს N1325 რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელება და მონიტორინგი

მიზანი 5: გაეროს N1325 რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით პასუხისმგებლობის გაძლიერება და ზედამხედველობა

გეგმის შესრულების, მონიტორინგისა და ანგარიშგების მდგრადი მექანიზმის არსებობა და რეზოლუციების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, რომლის პასუხისმგებელ უწყებადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი და საზოგადოებრივი მაუწყებელი განისაზღვრა, ეროვნული სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. შესრულების აქტივობებით გათვალისწინებული იყო პრემიერ-მინისტრის აპარატში შეხვედრების ორგანიზება რეზოლუციის განხორციელების პროგრესის განსახილველად და ინფორმაციის მისაწოდებლად, ასევე, ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭოსთვის წარდგენა.

ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების, მონიტორინგისა და ანგარიშგების მდგრადი მექანიზმის საარსებოდ, პრემიერ-მინისტრის აპარატში, 2016–2017 წლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით, ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენის მიზნით, გეგმის შესრულების საკოორდინაციო ჯგუფის წევრების ორი

სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც გაზიარებულ იქნა ინფორმაცია განხორციელებული, მიმდინარე თუ დაგეგმილი თემატური ღონისძიებების შესახებ. ორივე შეხვედრაში აქტიურად მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის, „ქალთა საინფორმაციო ცენტრისა“ და დევნილ ქალთა ასოციაციის, ,,თანხმობა“, წარმომადგენლები.[29]

ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭოსთვის წარდგენის შესრულებასთან დაკავშირებით 2017 წელს პრემიერ-მინისტრის აპარატმა, მთავრობას ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში წარუდგინა, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო რეზოლუცია N1325–ის ეროვნული სამოქმედო გეგმა. ხოლო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარედგინა საქართველოს პარლამენტს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ძირითადი საქმიანობა მოიცავდა სამოქმედო გეგმის N1325 განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის მომზადებასა და საზოგადოებისთვის წარდგენას. უნდა აღინიშნოს, რომ უწყებების მხრიდან გამოთხოვილი და ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებზე გაჟღერებული ინფორმაცია ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო იყო.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდაზე პასუხისმგებელ უწყებად საზოგადოებრივი მაუწყებელი შეირჩა (5.2.). ეს საქმიანობა, რადიო და სატელევიზიო გადაცემებში შესაბამისი თემატიკის გაშუქებით, საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებას ითვალისწინებდა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააშუქა ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და გენდერული თანასწორობის საკითხები,[30] რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა შესაფასებლად, შეიძლება ითქვას, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის N1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, თემა, სატელევიზიო სივრცეში ნაკლებად იყო წარმოდგენილი, ხოლო რადიოში ამ თემატიკას არცერთი გადაცემა არ დათმობია. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია გაანალიზდეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325-ის და მისი თანმდევი რეზოლუციების მნიშვნელობა, დაიგეგმოს და განხორციელდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული, სატელევიზიო და რადიო გადაცემები შესაბამისი თემატიკის გაშუქებით.

1. [29] საქართველოს პრემიერ მინისტრის აპარატის წერილი N17844/8.06.2017

[30] საზოგადოებრივი მაუწყებლის წერილი N2150/01/29.05.2017

დასკვნა

ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ 2015 წელთან შედარებით, სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების დიდი ნაწილი არ შესრულებულა. ეროვნული სამოქმედო გეგმა ძირითადად შიდა სტრუქტურული გადამზადების და შემუშავებული დოკუმენტების დონეზე შესრულდა. თუმცა, დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა დაბალი იყო, რამაც განაპირობა საზოგადოების ცნობიერების დაბალი მაჩვენებელი არა მხოლოდ რეზოლუციისა და სამოქმედო გეგმის შესახებ, არამედ დევნილი და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები პირებისათვის არსებულ სერვისებსა და პროგრამებთან დაკავშირებითაც.

გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ერთის მხრივ, გეგმის ხარვეზებს, და მეორე მხრივ, უწყებების მხრიდან დაკისრებული საქმიანობების შეუსრულებლობას შეიძლება მივაწეროთ. შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, სამოქმედო გეგმის შესასრულებლად, აუცილებელია უფრო ზუსტად გაიწეროს უწყებების პასუხისმგებლობა.

მონიტორინგის შედეგებიდან ასევე დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, ძირითადად, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით განხორციელდა. უწყებების მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების შესრულების კუთხით დამოუკიდებლად განხორციელებული აქტივობები მინიმალური იყო.

შედეგებზე თუ ვიმსჯელებთ, უწყებების მიერ შესრულებული საქმიანობების შემდეგაც კი, კონფლიქტით დაზარალებულ და დევნილ მოსახლეობაზე სამოქმედო გეგმის ზეგავლენა არასაკმარისია. შესუსტებულია არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გეგმის შესრულების პროცესში, რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობის ინფორმირებულობასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობაზე.

უწყებებისაგან მოწოდებული და მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზით იქმნება შთაბეჭდილება, რომ იმ ნაწილში, სადაც გეგმა კონკრეტულად ქალებისა თუ გოგონების ინტერესებს უკავშირდება, ნაკისრი ვალდებულებები არც-ერთ სტრუქტურას სათანადოდ არ შეუსრულებია. ამასთან, გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული საქმიანობები, მაინც ვერ ახერხებს კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას, პირველ ყოვლისა მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით.

შესაბამისად, მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, აუცილებელია კონფლიქტის პარადიგმიდან ფოკუსის ქალთა და გოგონათა საჭიროებებზე გადატანა და ფემინისტური დღის წესრიგის უფრო მეტად წინ წამოწევა. ამასთან, გეგმას, როგორც უკვე აღინიშნა, აქვს

მნიშვნელოვანი ხარვეზები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მონაწილეობის კუთხით. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგონებს, არ აქვთ ინფორმაცია საბაზისო უსაფრთხოების სტრატეგიასა და პროცედურებზე, განსაკუთრებით თვალში საცემია ეს პრობლემა გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ მოსახლეობასთან.

მიუხედავად მწირი ინფორმაციისა, ადგილობრივი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები, საკუთარი ინიციატივით, აქტიურად მუშაობენ სახალხო დიპლომატიის ხელშესაწყობად. იმ გეოგრაფიულ ერთეულებში, სადაც აქტიური და გაძლიერებული ქალები ცხოვრობენ, ბევრად უკეთესია მდგომარეობა ჩართულობისა და პრობლემების წინ წამოწევის კუთხით, ვიდრე დასახლებებში, სადაც ამგვარი ინიციატივები არ გვხვდება. მნიშვნელოვანია, რომ შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სახალხო ინიციატივებსა და ქალთა და გოგონათა მონაწილეობას უფრო მეტად შეეწყოს ხელი, რაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების სათანადო გაძლიერების გარეშე შეუძლებელია.

მომავალი გეგმის შემუშავებისას, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ქალებისა და გოგონების განსხვავებული საჭიროებები ჯერ კიდევ შესასწავლია და გეგმის შემუშავების პროცესში ამ განსხვავებების გათვალისწინება აუცილებელია.

რეკომენდაციები

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- უწყებებმა ორგანიზება გაუკეთონ საინფორმაციო შეხვედრებს, კონკრეტულად კი, ქალთა და გოგონათა საჭიროებებთან დაკავშირებულ თემატიკაზე, დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებთან;
- გაიზარდოს თვითმართველობის როლი და შესაძლებლობები, უზრუნველყოფილ იქნას რეგულარული ფორმატის შეხვედრები სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათი საჭიროებებისა და პრობლემების გამოსავლენად და მათზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით;
- გაავრცელოს ინფორმაცია უწყებების მხრიდან გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე დასასწრებად;
- წელიწადში რამდენჯერმე, ორგანიზება გაუკეთოს შეხვედრებს სრული უწყებრივი მონაწილეობით, არა ანგარიშგების, არამედ პრობლემების გამოსათქმელად და გადასაჭრელად, რომლებსაც დაესწრება ადგილობრივი თვითმართველობა;

- სახელმწიფო უწყებების მიერ ჩატარებულ შეხვედრებზე უზრუნველყოს ქალთა და გოგონათა საჭიროებების განხილვა;
- უზრუნველყოს დევნილი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ქალების მონაწილეობა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში და მათი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.
- დაიგეგმოს და შესრულდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების საჭიროებებზე მორგებული საქმიანობები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს:

- გენდერის მრჩევლის პოზიციაზე მყოფი პირებისთვის, უზრუნველყოს სააღრიცხვო სპეციალობის კოდის მინიჭება; განისაზღვროს მათი მოვალეობები და სამუშაო აღწერილობა;
- გადაიხედოს და შეიცვალოს ქალისა და კაცის ფორმები და აღჭურვილობა მათი ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესაბამისად, რათა ორივე სქესის წარმომადგენლებს თანაბრად მიეცეთ სავალდებულო ნორმატივების ჩაბარების შესაძლებლობა;
- სამინისტროს თანამშრომლებისათვის უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის თემატიკაზე ტრენინგების ორგანიზება;

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს:

- უზრუნველყოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობა მათ მიერ ქალთა და გოგონათა სპეციფიკურ საჭიროებებზე ინფორმაციის მისაწოდებლად;
- IPRM–ისა და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფორმატში, დღის წესრიგში შეიტანოს კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა სპეციფიკური საჭიროებები და პრობლემები, მათ შორის გადაადგილების თავისუფლების, ოჯახში ძალადობის მიმართულებით;
- უზრუნველყოს დევნილი მოსახლეობის მონაწილეობა კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების პროცესში;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს გამყოფი ხაზის სოფლებში დასაქმებული პოლიციელების გადამზადება „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების“, ასევე, ოჯახში ძალადობის თემატიკაზე და აწარმოოს ამ რეგიონებში დასაქმებული სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს:

- უწყების თანამშრომლებისთვის, მოლაპარაკებების უნარების ამაღლების მიზნით, უზრუნველყოს ტრენინგების ორგანიზება; ასევე, ჩაატაროს შეხვედრები კონფლიქტის მოგვარების გზების თემატიკაზე სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს:

- უზრუნველყოს საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარება დევნილი, იძულებით გადაადგილებული და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალების ეკონომიკურად გასაძლიერებლად, მათთვის გასაგები ტერმინოლოგიის გამოყენებით;

- შეიმუშაოს კონფლიქტით დაზარალებული თემების სპეციფიკურ საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის წახალისების პროგრამები;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონებისთვის შემუშავდეს სპეციფიკური ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამა;
- იძულებით გადაადგილებული და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, უზრუნველყოს კვალიფიციური ფსიქოლოგის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, რომელთა მიზანიც იქნება სახელმწიფო პროგრამების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;

იურიდიული დახმარების სამსახურს:

- გამართოს რეგულარული ხასიათის გასვლითი კონსულტაციები რეგიონში და უზრუნველყოს საინფორმაციო კამპანიების ჩატარება მოსახლეობისთვის, თავიანთი უფლებებისა და სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ, მათთვის ინფორმაციის მისაწოდებლად;
- დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ გოგონებსა და ქალებს და მათი ოჯახის წევრებს რეგულარულად გაუწიოს იურიდიული კონსულტაცია;

ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- უზრუნველყოს ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კამპანიები, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე;

საზოგადოებრივ მაუწყებელს:

- გაანალიზდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკის მიზნებისათვის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325-ის და მისი თანმდევი რეზოლუციების მნიშვნელობა, დაიგეგმოს და განხორციელდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული, სატელევიზიო და რადიო გადაცემები შესაბამისი თემატიკის გაშუქებით.

დანართი 1

მონიტორინგის სუბიექტები:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
3. საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი
4. საგარეო საქმეთა სამინისტრო
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
6. საქართველოს მთავარი პროკურატურა
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
9. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
10. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
11. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
12. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი
13. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
14. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
15. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
16. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
17. საზოგადოებრივი მაუწყებელი
18. იურიდიული დახმარების სამსახური
19. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერის მრჩევლები (13.07.2017; ფოკუს ჯგუფი; 5 მონაწილე)
20. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები (18.07.2017; ფოკუს ჯგუფი; 4 მონაწილე)
21. გორის ფოკუს ჯგუფი (16.06.2017; შიდა ქართლის არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუს ჯგუფი 8 მონაწილე)
22. ზუგდიდის ფოკუს ჯგუფი (25.07.2017; სამეგრელო–ზემო სვანეთის არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუს ჯგუფი; 4 მონაწილე)
23. წეროვნის ფოკუს ჯგუფი (14.06.2017; დევნილთა დასახლება; 11 მონაწილე)
24. ფრეზეთის ფოკუს ჯგუფი (14.06.2016; დევნილთა დასახლება; 10 მონაწილე)
25. კოდას ფოკუს ჯგუფი (14.06.2017; დევნილთა დასახლება; 9 მონაწილე)
26. კოშკას ფოკუს ჯგუფი (21.06.2017; დევნილთა დასახლება 10 მონაწილე)
27. წითელუბნის ფოკუს ჯგუფი (21.06.2017; დევნილთა დასახლება; 13 მონაწილე)
28. პერევის ფოკუს ჯგუფი (11.07.2017; სათემო ფონდი; 13 მონაწილე)
29. ფოცხო ეწერის ფოკუს ჯგუფი (26.07.2017; დევნილთა დასახლება; 13 მონაწილე)

30. ჯვარის ფოკუს ჯგუფი (26.07.2017; დევნილთა დასახლება; 12 მონაწილე)
31. ანაკლიას ფოკუს ჯგუფი (25.07.2017; სათემო ფონდი;4 მონაწილე)
32. თბილისის ფოკუს ჯგუფი (არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა; 01.08.2017; 5 მონაწილე).